ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება #102

04 აპრილი 2018 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „დ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 15 თებერვლის #194 ბრძანების და “ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 03 იანვრის #1 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 12 თებერვლის #2 ოქმის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, დანართი #1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტან–ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ლევანი ონიანი

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი #1

N	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება / დანიშნულება	ფუნქციური ზონები	საკადასტრო კოდი	მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართობი კვ/მ
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; შენობა-ნაგებობა N1	ს-1	02.07.04.053	ქალაქი რუსთავი, ქუჩა დავით გარეჯი, N30ა	3289